# ცნობის ფურცელი
## სურათებიანი დამატება

დამატების № 172. | კვირა, 30 ნოემბერი 1903 წ. | გაზეთის № 2338.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

| კავკასიასა და რუსეთში: | საზღვარ-გარედ |
|---|---|
| 1 წლით — 6 მ., 6 თვით 4 მ., | 1 წლით — 9 მ. 6 თვით — 5 მ., |
| 1 თვით — 50 კაპ. | 1 თვით — 90 კაპ. |

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე“

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფასი ჟურნალისა

| კავკასიასა და რუსეთში | საზღვარ-გარედ: |
|---|---|
| 1 წლით — 10 მ., 3 თვით — 3 მ. | 1 წლით — 13 მ., 6 თვით — 7 მ., |
| 3 თვით — 3 მან. | 3 თვით — 5 მან. |

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**წლიურ ფასის განაწილება:** პირველად — 6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე — 3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა.

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება **გურიიდან.** სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 **დეკემბრამდე დაიკვეთონ,** რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

*
* *

(კაზლოვიდან)

სადამოს ზარი, სადამოს ზარი!
რაოდენ ფიქრთა აღმძვრელი არი!
იგი მაგონებს სიჭაბუკის დროს,
სამშობლო მხარეს, მშობლების სადგომს,
როს სამუდამოდ განშორების ჟამს
უკანასკნელად ვისმენდი ამ ზარს...

—

ვეღარ ვიხილო მე დღე ნათელი,
სიყმაწვილისა ჩემის მხიბლველი!
და რამდენია აწ მიწად ქმნილი
იმ დროინდელი ტურფა ყმაწვილი!
მათ ღრმა ძილს ჰფარავს შავი სამარი,
მათ არ ჩაესმის მწუხრისა ზარი...
დაე მეც ვიწვე ცივსა სამარეს!
ჩემს საფლავზე თქმულს მწუხარე ჰანგებს
ხეობათ შორის განფანტავს ქარი...
იქ კი გაივლის სხვა მომღერალი
და მე კი არა, იგი იმღერებს
დაფიქრებული მწუხრის ზარის ხმებს...

განდეგილი

# ზ ა მ თ ა რ ი.

თოვს. სოფელი არა სჩანს. გამძვინვარებულს ქარს გრიალი გააქვს, ატრიალებს ცაში მსხვილ, ფიფქს თოვლს და აბნელებს არე-მარეს. მთის ფერდობზედ გაშენებულ, ნახევრად თოვლში ჩაფლულ სოფლის ხის ქოხები ირყევა და სიძველისაგან დაძაბუნებულს იმათ კედლებს ჭაჭა-ჭუკი გაუდის. მედგრად მომდგარ ქარს გადაუწყვეტია, ძირს დასცეს, დაიტანოს, გაანადგუროს ყველაფერი.



ჰერბერტ სპენსერი

დღე თავდება. ბინდდება. ისეც უსიცოცხლო სოფელი ძილს ეპირება. ყველგან სულდგმულთა სიჩუმეა. მისწყდა ძაღლების ყეფა, რომელიც ყრუთ გაისმოდა სოფელში: პატრონთ შეუბრალებიათ და სახლის კარები გაუღიათ იმათთვის. აქა-იქ ქოხებიდან გამობჟუის ოდნავი სინათლე.

— ზზზ... ზზუუუ... — ზმუის ქარი.

— ტყაპ... ტყაპ... ტყაააპ... — ატყაპუნებს სადღაც სახურავზედ ერთის ლურსმით დამაგრებული ყავარი.

ანთებულ ბუხართან მიცუცქულა და მძიმედ სუნთქავს ორი დედაკაცი, ერთი მოხუცებული, წელში მოხრილი და სახე დანაოჭებული, მეორე შუა ხნისა, მოსახვევით პირაკრული. იქვეა ოცის წლის ბიჭი. საკმლის, წმინდა სანთლის და ცხედრის მძიმე სუნი ტრიალებს ოთახში. დედაკაცებს ფეხთ აქვთ დახდილი, ფრატები გვერდით მიუწყვიათ და ფეხები ცეცხლისთვის მიუშვერიათ.

შუა ხნის დედაკაცი წინდასა ჰქსოვს, მოხუცებულს ძილი მოჰრევია და სთვლემს. ბიჭს თავი ბუხრის ქვაზედ მიუდვია, მუხლებზედ დაყრდნობილა და დაღვრემილის ხმით ბუხარში ცეცხლს მისჩერებია. მოხუცებული თავსა ჰქინდრავს, მალ-მალ დაუშვებს ძირს, დაჰკრავს შუბლს მუხლზედ, აიღებს მაღლა, დაამთქნარებს და პირჯვარს გადაიწერს.

— ღმერთო, შენ გვიშველე, ღმერთო... — ჩიფჩიფებს ისა.

— მართა, მიწექი აიგერ იქა, მე არ დამეძინება, ნუ გე-

შინიან!—ეუბნება ჩურჩულით შუა ხნის დედაკაცი.—ღმერთმანი, მიწექ, მერე გაგაღვიძებ.

მართა ხმას არა სცემს და ისევ თვლემს.

შუა ხნის დედაკაცი კი გამხმარის, ძაძარღულის თითებით მარდათა ჰკრებს წინდის თვლებს და მალ-მალე სცვლის წინდის ჩხირებს.

რვა-ცხრა არშინიანი ოთახი შუაზედ მოაჯირით არის გაფიცრული. მეორე ნახევარში ერთ მხარეს ზღვეა დაგებული, ზღვეზედ აბია უდელი პატარა ტანის ხარი და ერთი ხბო. მეორე მხარეს, კედლის პირას, მიდგმულია გოდრები, ყუთები



ვარდებში.—სურათი მიულერისა.

და ცემენტის რამდენიმე ბოჩკა. ზოგში პურია, ზოგში ლობიო, ზოგში ბზე. ხბოს ბალანი მაღლა წასვლია, აფუზულა და ძაგძაგებს, ხარები ზარმაცად იცოხნებიან და დრო-გამოშვებით ხვნეშიან.

ერთს ტახტზედ გათხელებულ ლეიბზედ წევს ექვსი-შვიდი წლის გოგო, თავი უდევს თივით გატენილ მუთაქაზედ და ზედ ახურავს ჭუჭყიანი ნაჭრებიანი საბანი.

მეორე ტახტზედ ასვენია ცხედარი. კუბოს აფარია თეთრი მიტკლის ნაჭერი და თავსა და ბოლოში უნთია წვრილი ყვითელი წმინდა სანთელი.

პატარა გოგოს სძინავს, მაგრამ ქარის ყოველ დაქინებულ შემობერვაზედ გამოიღვიძებს ხოლმე, ყურს დაუგდებს, მიიხედავს, შეაჩერებს თვალს კუბოს თეთრ მიტკალზედ, შეიარავს, შეაძიძგინებს, უცბად წაიხურავს თავზედ საბანს და იმის ქვეშ მწარედ ამოიოხრებს.

— ზზუუუ... ზზზ...—შესტვენს ქარი.

-— ჭრ...ჭ...ჭ...ჭ...—გააქვს კედლებს და ლარ-კავებს ჭრაჭა-ჭრუჭი.

— ტყაპ...ტყაპ...ტყაააპ...—ატყაპუნებს ყავარი.

ქარი ჰგლეჯს არე-მარეს, გიჟივით ატრიალებს ჰაერში თოვლს, ნამქერს და აყრის შრიალით სახლებს. რა სულდგმულსაც კი ჰღვიძავს, თავზარსა სცემს, აფიქრიანებს, ამცივნებს, აშინებს, როგორც სასტიკი, შეუბრალებელი, გაჯავრებული მტერი.

მოხუცებულ მართას ისევ სთვლემს, ბიჭს თავი ისევ ბუხარზედ აქვს მიბჯენილი, შუახნის დედაკაცი ისევ წინდასა ჰქსოვს.

უცებ შუახნის დედაკაცი შეკრთა, შეჩერდა, წინდის ჩხირი წინდაში მარდად გაურჭო, გორგლიანად ბუხრის წინ მიაგდო და ზეზეუ წამოვარდა.

— აცხა... აცხა... აცხა...—წამოავლო ხელი საკეცეს.

ცხედარის ტახტიდან რაღაცამ ისკუპა და შურდულივით შევარდა ტახტ ქვეშ.

— ეს შეჩვენებული ესა... დასწყევლა ღმერთმა შენი გაჩენა!—თავისუფლად ამოისუნთქა დედაკაცმა.

მართაც გამოერკვა ძილისგან და ისიც წამოდგა.

— რა იყო, მელანო?—იკითხა შეშინებულმა.

— საიდან შემოსულა ეს წყეული ესა?—თავის მხრივ იკითხა მელანომ და ტახტ ქვეშ დაუწყო ძებნა კატას.

-— უი, უი!—მიჰხვდა რაშიაც იყო საქმე მართა.—წელან, რომ შეშა შემოვიტანეთ, მაშინ თუ შემოვიდა. არიქა, სანდრო, უნდა გავაგდოთ, როგორც იქნება.

სანდრომ, მართამ და მელანომ ტახტ ქვეშ შეიხედეს.

— ემანდა, ემანდა, მანდეთ არის, მანდეთ...

კატა ჯერ კუნჭულში იკუნტებოდა, ბოლოს მარტო ცხვირი გამოჰყო და კარებს მიაჩერდა.

— კარი გააღე, შვილო სანდრო, კარი...

სანდრომ კარები გააღო, კატა კარში გავარდა.

გაღებულ კარებში ქარმა თითქოს ხსნა ნახა, შემოსცრა თოვლი და ოთახში თარეში დაიწყო. საქონელს გააძიგძიგა, კუბოზედ თეთრი მიტკალი შეღელდა, ლამპარში სინათლემ შეითამაშა.

სანდრომ უცებ მიხურა კარები და ბუხრისკენ გაეშურა. მართამ და მელანომ წაუჩინჩხალეს მიბჟუტულ ჯირკს, რომელმაც ჯერ აუარებელი ნაპერწკალი აუშვა და ბოლოს ალად იქცა. ალზედ სამივემ მოითბეს ხელები.

მართა გამოფხიზლდა. აღარ ეძინება. ცხედარი... კატა... წმიდანი, წმიდანის შეხება, მისი შელახვა... ყველა ამ საგნებმა გაურკვეველი მღელვარება გამოიწვიეს მართას მორწმუნე, სასოებით სავსე გულში. ტახტზედ ასვენია ცხედარი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, ჯანით სავსე ქალი. მოკვდა, გამოემშვიდობა სამუდამოდ წუთისოფელს, ოჯახს, შვილებს. ოჯახს წაერთვა უფროსი, მომვლელი, თადარიგის მიმცემი, წახდა, წავიდა ოჯახი, მაგრამ მართას ეს გარემოება არ გაჰკვირვებია.

— რა ვუყოთ, შვილო,—ანუგეშა მართამ ობლები, როდესაც სამძიმარს ეუბნებოდა:—ყველაფერი ღვთის განგებაა, ალბათ ასე გვიწერია. რა ვუყოთ, ყოჩაღად იყავით, ღმერთი არ დაგვაგდებთ ისე...

— ალბად ღმერთს ვაწყენინეთ!—იტყოდა მართა, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა უამინდობაზედ, რის გამოისობით მიცვალებული ვერ დაემარხათ და ეს ექვსი დღეა სახლში ესვე-

ნათ.—ღმერთი გვცდის, სასჯელს გვაყენებს, რომ შევიგნოთ, ცოდვები მოვინანიოთ.

სანდრომ მოითბო ხელები, მიჯდა ისევ ბუხართან და მიადო ისევ თავი ბუხრის ქვას. მელანომ და მართამ შეჰხედეს ერთმანეთს, თავი გაიქნიეს და წაიჩურჩულეს:

— საწყალი!..

მელანომ მიიხედა სანდროსკენ, რაღაცა უნდოდა ეთქვა, შეაჩერდა სანდროს და ისევ თავი ჩაღუნა. ბოლოს აიღო თავი და ალერსით მიუბრუნდა:

— ბიჭო, სანდრო, რა დაგემართა, ვაჟკაცი არა ხარ? ვის არ მოჰკდომია, შვილო, დედაი! ძუძუმწოვარა ხომ არა ხარ?..

სანდრო არც კი განძრეულა.

— მართალია, შენ კისერზედ ორი ბალღი დარჩა,—განაგრძო მელანომ:—მაგრამ რა ვუყოთ, შვილო, ღვთის მოწყალებით ცოლს შეირთავ და ის დედობასაც გაგიწევთ... მანამ ჩვენ რას ვაკეთებთ, ხალხნი ვართ ჩვენცა, ის ხომ არა ვართ...

— ყველაფერი ღვთის განგებაა, შვილო!—დაეხმარა მართაც:—ღმერთს კი არ უნდა აწყენინო. რა ვუყოთ, ზოგს უბედურება ეწვევა, ზოგს ბედნიერება! .

— უნდა გამხნევდე, უნდა!—გული მოეცა მელანოს:—რაც მოკვდა—მორჩა, აღარ არის, ახლა ცოცხლებზედ უნდა ვიფიქროთ!..

სანდრომ მუშტი მიიტანა თვალებთან და ცრემლი მოიწმინდა.

— რა ვქნა, ღმერთმა რომ გამწირა, გამწირა!—გულამომჯდარმა ამოიღო ბოლოს ხმა.—ყველამ იცის, რა დედა იყო ჩემთვის: ესეც ვიცი, რომ მწუხარებით ვერას ვუშველი, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი უნდა... რა ვქნა, გზა არ არი, კვალი არ არი, მღვდელი ვერ ჩამოვიდა, ხალხი არ მომეკარა, ამისთანა საქმე დედასაც დაგავიწყებინებს და გულსაც გაგიქვავებს! რა ვქნა, რა ვქნა? თქვენც დაიხოცენით, მეც ნახევარი კაცი აღარა ვარ.—მწარედ წარმოსთქვა სანდრომ და ცეცხლს შეუკეთა.

და, საქონელმა ზღვეზედ ბოგინი იწყო. ლამპარში ნავთი გამოლეულიყო, პატრუქი მოსწოდა და ოდნავ-ღა ბჟუტავდა. სადღაც მამალმა ყრუთ იყივლა. თენდებოდა. სანდროს ეხლა კისერი მიედო ბუხრის ქვაზედ, უხერხულად ჩაკეცილიყო და მოუსვენრად ეძინა. მართას მუხლებზედ დაედო თავი და ფშვინავდა. მელანო მიწოლილიყო მოკუნტული ბუხრის წინ, თავი სამფეხა სკამზედ მიედო, ვიღასიც დაკონკილი საბანი მიეხურა და ეძინა. ცეცხლი თეთრად ჩაფერფლილიყო, მხოლოდ ერთი სოკოიანი ჯირკი შავად გამოიყურებოდა.

ოთახში ციოდა. სანდრო შეიშმუშნა, აკანკალდა, თავი აალალა ბუხარს, ხელი კისერში მოიკიდა და დიდხანს იზილა. შეხედა ფანჯარას, იქიდან—ლამპარს, წამოიწია და ცეცხლი შეანძრია. ცოტა ხანს იჯდა ანთებულ ცეცხლთან და თავსა ჰქინდრავდა, ბოლოს ძალა დაატანა თავს, წამოდგა, წამოისხა დაგლეჯილი მაზარა და გარედ გავიდა.

ქარი ჩავარდნილიყო, ცას მოეწმინდა და ჰყინავდა. ქარის ნაომარი ნათლადა სჩანდა: თოვლი ყველგან გადალესილიყო. სახლებთან, ღობეებთან, მაღლობ ადგილებთან ზვინებივით იდგა მინამქრული თოვლი.

მზე კარგად ამოწეული იყო, რომ მიცვალებულის ქოხს მიადგა თხუთმეტიოდე გლეხკაცი ნიჩბებით და რამდენიმე ულელი კამეჩით. ჯერ სათითაოდ ხალხი შედიოდა ოთახში, მიცვალებულის წინ იჩოქებდა, პირჯვარს იწერდა და გამოდიოდა. ბოლოს, როცა ყველამ გადიხადა ეს ვალი, ერთმა ჭაღარა შერეულმა კაცმა სთქვა:

— აბა, ნუღარ ვაგვიანებთ, ეს დღეც დაღამდა. როგორც იქნება, რანაირადაც იქნება, დღეს უნდა მივაბაროთ მიწას მიცვალებული!

— უნდა, უნდა! რაღას უნდა მოველოდეთ, ვინ იცის, ხვალ რა იქნება!—თითქმის ერთხმად წამოიძახეს სხვებმა.

— მაშ ნუღარ დავაგვიანებთ, მღვდელთან ხომ წასულია კაცი?

— წასულია ხუთი ბიჭი ნიჩბებით!..



უკანასკნელი სროლა.—სურათი კოვალსკისა.

დრო გადიოდა. ქარი ნაწყვეტ-ნაწყვეტად-ღა უბერავდა ერთს შემოჰქროლავდა, შეაძაგინებდა სახლს და ისევ მიწყდებოდა. ერთ მინიან ფანჯარაში მკრთალი სინათლე შემოვი-

— მღვდელი აქ არ ჩამოვა, პირდაპირ სასაფლაოზე ავა...

— მაშ აბა, ივანე, შენ კამეჩები გაირეკე წინ, ნიჩბიანები კამბეჩებს მიჰყვებით და ზოგმაც კუბო ავსწიოთ. აბა, კუ-

ბოს ვინ ასწევთ?—ამ სიტყვებით ჭაღარა კაცმა დაჰლუნა თავი და სახლში შევიდა. მას მიჰყვა რამდენიმე სხვა.

მიტკლის ნაჭერი გადაჰხადეს, გამოჩნდა უბრალო ფიცრის კუბო, რომელსაც შეუყარეს თავსა და ბოლოში თეთრი ტილოები.

მელანომ მოთქმით ტირილი დაიწყო, მართა იცრემლებოდა და გულში მუშტს იცემდა. პატარა გოგო დაშტერებით უცქეროდა, სანამ კუბოს ასწევდნენ, მერე შეჰკივლა და კუბოს ეცა:

— დედააა... დედააა... მაჩვენეთ... მაჩვენეთ... უიმეეე...

იმის ბავშურ, უმანკო, ნორჩ გულიდან ამონაკვნესი სიტყვები გამოჰხატავდნენ უფრო შიშს, ვიდრე მწუხარებას. კუბოს ამწევლებმა უნებლიეთ დაუშვეს კუბო და დამწვარის გულით შეჰხედეს ბავშვს.

— წამიყვანეთ მეცა... წამოვალ.... თქვენი ჭირიმეთ.... ვივლი მეცა!—იხვეწებოდა ბავშვი.

— ასწიეთ, კაცო!—გაისმა რიხიანი ხმა ჭაღარა კაცისა:—რას გაჩერებულხართ, აბა სად უნდა წამოხვიდე!—შეუბრალებლად დაუყვირა იმან ბავშვს:—შენ-კი არა, ჩვენც გვიჭირს იქ ასვლა. აბა, ასწით!..

კუბო ასწიეს, გამოიტანეს გარედ და გაუდგნენ გზას. ხან ერთს ჩაუვარდებოდა ღრმად თოვლში ფეხი, ხან მეორეს, კუბო ხან ერთ მხარეს ირხეოდა, ხან მეორეს, მაგრამ მაინც მიდიოდნენ.

სანდრო თავჩაღუნული და ქუდ-მოხდილი მისდევდა უკან სიცოცხლეშიაც და სიკვდილშიაც გატანჯულ დედას.

სვ. ყიფიანი.



ხელი ხელსა ჰბანს.




ქალაქის დეპუტაცია ეგებება ახლად ნაყიდ საკლავ საქონელს, რომელმაც კრიზისისაგან უნდა დაიხსნას ქალაქის ხორცის დუქნები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 29 ноября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ის.